„თბილისში სადაც ეზოა, ყველგან ვაზია. ყოველივე ამის შემდეგ, არქეოლოგებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ღვინის სამშობლო ნამდვილად საქართველოა, ქრისტეს შობამდე დაახლოებით 6000 წლით ადრე. 524 ჯიშის ყურძენს შორის ყველაზე პოპულარული საფერავი, წითელი და ნახევრად ტკბილი ქინძმარაულია, რომელიც ძალიან მოწონებულია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში“, – წერს ანდრეა ფორლანი და სტატიას პიცისა და ხაჭაპურის ერთმანეთთან შედარებით აგრძელებს.

„მათთვის, ვისაც არასდროს სმენია ქართული სამზარეულოს შესახებ, პატარა ლექსიკონი შეიძლება გამოგადგეთ: ხაჭაპური, ხინკალი. პირველი ჩვენი პიცის კავკასიელი მიძაშვილია. ნაკლებად რთული მოსამზადებელია იმერული ხაჭაპური, სულგუნი ყველით საოცრებაა, მაგრამ მწვერვალი არის აჭარული წარმოშობის ხაჭაპური – ქვეყნის დასავლეთ ნაწილიდან, – წერს იტალიელი ავტორი.

ორჯერ გამართული ერთი კონცერტის ამბავი მისტიკასთან წილნაყარი ეპილოგით

სერგო ფარაჯანოვი - 99

9 იანვარს, სომხური წარმოშობის ქართველ და საბჭოთა კინორეჟისორს, სერგო ფარაჯანოვს 99 წელი შეუსრულდებოდა. მის იუბილესთან დაკავშირებით 12 იანვარს, 18:00 საათზე, „ქართველ სომეხთა კავშირი“ სერგო ფარაჯანოვის 99 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ტრადიციულ საკონკურსო გამოფენას გამართავს.

ორგანიზატორების ინფორმაციით, საღამო გაიმართება ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამხატვრო აკადემიის, საქართველოში სომხეთის საელჩოს და სერგო ფარაჯანოვის სახელობის, ასევე თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრის მხარდაჭერით.

საღამოზე კონკურსის მონაწილეთა გამოფენა და გამარჯვებულების დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართება. ღონისძიება ეროვნული ბიბლიოთეკის 26 მაისის სახელობის დარბაზში ჩატარდება.

მოამზადა რუსუდან ქობულიამ

კულტურული მემკვიდრეობის ახალი ბინადარნი

ქართული ხორბლის კულტურა, რთველის ტრადიცია საქართველოში, მესხური სამზარეულო, მცხეთური ღვეზელის დამზადების ტრადიცია, ინფექციურ დაავადება ე.წ. „ბატონებთან“ დაკავშირებული რიტუალები და გელათის მეცნიერებათა აკადემიის ტრადიცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ნუსხაში შევიდა. ბრძანება ამის შესახებ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორმა გამოსცა.

ნიკოლოზ აზნაურაშვილის გამოცემულ დოკუმენტში ნათქვამია: „მიენიჭოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს: „ქართული ხორბლის კულტურა: ტრადიციები და რიტუალები“, „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ტრადიცია“, „რთვლის ტრადიცია საქართველოში“, „მცხეთური ღვეზელის დამზადების ტრადიცია და მისი კულტურული კონტექსტი“, „მესხური სამზარეულო – აპოხტის, წიმოსა და აპოხტის ხინკლის დამზადებისა და გამოყენების ტრადიცია“, „ინფექციურ დაავადება „ბატონებთან“ დაკავშირებული რიტუალური ქმედებები, სიმღერა და წეს-ჩვეულებები საქართველოში“. ნიკოლოზ აზნაურაშვილის ბრძანება 9 იანვარს საკანონმდებლო მაცნეში გამოქვეყნდა და გამოქვეყნებისთანავე ამოქმედდა.

პრინცი ჰარის...



„აუტანელი სიმსუბუქე“ ბრიტანულად

THE GUARDIAN: კოკაინი, ჯადოქრობა და უილიამის თავდასხმა – რა წერია პრინც ჰარის მემუარებში?!

პრინცი ჰარის ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი მემუარები „სათადარიგო“ („SPARE“) შეიცავს სენსაციურ განცხადებებს და ბრალდებებს სამეფო ოჯახის წევრების მიმართ, კოკაინისა და მარიხუანას მოხმარებიდან, პრინც უილიამის თავდასხმამდე... წერს გაზეთი GUARDIAN, რომელმაც მოიპოვა წიგნის ასლი.

როგორც GUARDIAN-მა აღნიშნა, პრინცის ავტობიოგრაფია, რომელიც შედგენილია პროფესიონალი მემუარისტის J.R. MEHRINGER-ის მიერ, გავლენას ახდენს სამეფო ოჯახის ყველა წევრზე.

ჯერჯერობით უცნობია, შეიცავს თუ არა იგი რაიმე სენსაციურ ინფორმაციას გარდაცვლილი დედოფალ ელისაბედ II-ისა და მისი მეუღლის, ედინბურგის ჰერცოგის ფილიპის შესახებ. წიგნის იმ ფრაგმენტებში, რომლებსაც GUARDIAN იხსენებს, პრინცი არ ახსენებს თავის ბებიას და ბაბუას. კენსინგტონის და ბუკინგემის სასახლეებმა (პრინცი უილიამის და მეფე ჩარლზ III-ის რეზიდენციები) სკანდალური გაქონვის შესახებ კომენტარის გაკეთებაზე უარი განაცხადეს. მემუარები ინგლისურ ენაზე 10 იანვარს უნდა გამოსულიყო. მისი ესპანურენოვანი ვერსია უკვე გამოქვეყნდა და ზოგიერთმა ბრიტანულმა მედიამ (მათ შორის BBC-იმ) ნაწილობრივ მოახერხა მისი გაცნობა.

ჰარიმ და უილიამმა მამას სთხოვეს, არ დაქორწინებულიყო კამილაზე

თავის წიგნში ჰარი წერს, რომ ის და მისი ძმა ევედრებოდნენ მამას, არ დაქორწინებულიყო კამილაზე და მას ცალკე სასაუბროდ ქორწილის დაწყებამდე შეხვდნენ.

ჰარის თქმით, მას ეშინოდა, რომ კამილა მათთვის და მისი ძმისთვის ბოროტი დედინაცვალი გახდებოდა, მაგრამ გულის სიღრმეში ის და უილიამი მზად იყვნენ, ყველაფერი ეპატიებინათ, თუ მამა მასთან ბედნიერი იქნებოდა. როდის მოხდა ზუსტად ჰარის საუბარი კამილასთან, გამოქვეყნებული პასაჟებიდან გაურკვეველია, ამიტომ ჩვენ არ ვიცით, რამდენი წლის იყო პრინცი იმ დროს. პრინცი ჩარლზის და ახლა მეფე ჩარლზ III-ის ქორწინება 2005 წელს შედგა.

ჯადოქრის „მესიჯი დაიანასგან“

პრინცი ჰარი აღწერს, თუ როგორ მიიყვანა იგი გარდაცვლილი დედის, პრინცესა დაიანას მწუხარებამ ქალთან, რომელიც ამტკიცებდა, რომ ჰქონდა სხვა სამყაროსთან კონტაქტის ნიჭი.

„დედაშენი ამბობს, რომ შენ ცხოვრობ ისე, როგორც თავად ვერ იცხოვრა. შენ ცხოვრობ ისე, როგორც მას ეს შენთვის სურდა“, – უთხრა მას ჯადოქარმა.

პრინცესა დაიანა გარდაიცვალა პარიზში 1997 წელს, როდესაც ჰარი 12 წლის იყო. წიგნში ჰარი მოკლედ საუბრობს გარდაცვლილ დედასთან საუბრის შესახებ, წერს The Guardian. როდის და სად შედგა მისი შეხვედრა ჯადოქართან, ასევე გაურკვეველია.

ჩარლზი, დაიანას სიკვდილის შემდეგ, პარის არ ჩაეხუტა

თავის მემუარებში ჰარი იხსენებს, როგორ მიუახლოვდა მამა მას, რათა ეთქვა დაიანას ავტოკატასტროფაში გარდაცვალების ტრაგიკული ამბავი – და იმ მომენტში არ ჩაეხუტა.

თუმცა, პრინცი წერს, რომ ნორმალურ პირობებშიც კი, მამამ "არასოდეს იცოდა, როგორ გამოეხატა თავისი გრძნობები“.

უილიამი ჰარის თავს დაესხა და ძირს დააგდო

ჰარი ამტკიცებს, რომ ძმასთან ერთ-ერთი ჩხუბის დროს მეგანთან დაკავშირებით, იგი მას საყელოში სწვდა და იატაკზე დააგდო. ეს მოხდა ჰარის ლონდონის რეზიდენციაში. ფეხზე წამოდგომის შემდეგ, ჰარიმ უარი თქვა ძმისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაზე და უთხრა, რომ დაეტოვებინა მისი რეზიდენცია.

ჰარის თქმით, კონფლიქტი დაიწყო იმ ეპითეტების გამო, რომლებიც უილიამმა მეგან მარკლის შესახებ საუბრისას გამოიყენა. კერძოდ, მან მას „რთული“, „უხეში“, „უზნეო“ და „უსიამოვნო“, „გამაღიზიანებელი“ უწოდა. დაპირისპირება გამწვავდა, წერს ჰარი, რადგან უილიამი „უაზროდ იმეორებდა პრესის მოგონილ ზღაპრებს“. შემდეგ კი, სავარაუდოდ, თავდასხმა მოხდა.

როგორ დაკარგა პარიმ ვაჟიშვილობა

ჰარი აღიარებს, რომ პირველი სექსუალური გამოცდილება 17 წლის ასაკში ჰქონდა.

ეს მოხდა პაბის უკან მინდორში, მასზე უფროს ქალთან ერთად. მისი პარტნიორი მას „ახალგაზრდა ცხენოსანს“ ეძახდა, წერს ჰარი და აღნიშნავს, რომ მისი პირველი სექსუალური გამოცდილება მისთვის უკიდურესად დამამცირებელი იყო.

კოკაინი 17 წლის ასაკში და მარიხუანა ეტონში

ჰარი ამბობს, რომ მას კოკაინის გაყნოსვა შესთავაზეს, როცა 17 წლის ასაკში მეგობრებს სტუმრობდა. პრინცი აღიარებს, რომ ნარკოტიკი რამდენჯერმე მოიხმარა, თუმცა, მისი თქმით, ეს მას სიამოვნებას არ ანიჭებდა.

„ეს ბედნიერებას არ მანიჭებდა, მაგრამ თავს სხვა ადამიანად ვგრძნობდი და ეს იყო ჩემი მთავარი მიზანი. მე 17 წლის ბიჭი, მზად ვიყავი, მეცადა ყველაფერი, რაც წინასწარ დადგენილ წესრიგს შეცვლიდა“. ის ასევე ჰყვება, თუ როგორ ეწეოდა მარიხუანას ეტონში, კამპუსის აბაზანაში, ხოლო დაცვა ამ დროს შენობის გარეთ იდგა.

უილიამი უკმაყოფილო იყო ჰარის ეტონში ყოფნით

„შენ მე არ მიცნობ, ჰაროლდ, და მე არ გიცნობ შენ“, – უთხრა პრინცმა უილიამმა ძმას, როდესაც ის ბრიტანეთის ყველაზე პრესტიჟულ კოლეჯში სასწავლებლად მივიდა.

იმ დროისთვის უილიამი ეტონში სწავლობდა და, როგორც თავად აღიარა, ეს ადგილი მისთვის თავშესაფრად იქცა. ჰარიმ ძმას უთხრა, რომ არ ენერვიულა და დაჰპირდა, რომ სრულიად დაივიწყებდა, რომ ისინი ერთმანეთს იცნობდნენ.

25 მოკლული თალიბი

ჰარი წერს, რომ 2012-2013 წლებში ავღანეთში შვეულმფრენის პილოტად მსახურებისას, მან პირადად მიიღო მონაწილეობა ექვს ფრენაში, რომელთაგან თითოეული ორიენტირებული იყო ცოცხალ სამიზნეებზე, მაგრამ პრინცმა ეს მკვლელობები გამართლებულად მიიჩნია. მისი უშუალო მონაწილეობით, სულ 25 თალიბანი მოკლეს.

„მე საერთოდ არ ვამაყობ ამ სტატისტიკით, მაგრამ ამის გამო არც მრცხვენია“, – წერს პრინცი. „სიცხეში და დაბნეულობაში, მე ამ 25 ადამიანს ადამიანებად არ აღვიქვამდი. ისინი იყვნენ ცუდი ბიჭები, რომლებიც მოიშორეს მანამ, სანამ კარგი ადამიანების მკვლელობას დაიწყებდნენ“.

ჩარლზი უილიამს და ჰარის ევედრებოდა, არ ეჩხუბათ!

ჰარი იხსენებს, რომ 2021 წელს, ბაბუის – ედინბურგის ჰერცოგის – დაკრძალვის შემდეგ, მან და უილიამმა კინაღამ იჩხუბეს.

პრინცი ჩარლზი თავის ვაჟებს შორის ჩადგა და თქვა: „გთხოვთ, ბიჭებო, ჩემი ცხოვრების ბოლო წლებს ნუ მომიწამლავთ“.

ჰარიმ ბებიის გარდაცვალების შესახებ ოჯახისგან კი არა, ახალი ამბებიდან შეიტყო

პრინცი ჰარის თქმით, მან ბებიის – დედოფალ ელისაბედ II-ის გარდაცვალების შესახებ BBC-ის სიახლეებიდან შეიტყო. როდესაც დედოფლის მდგომარეობა შესამჩნევად გაუარესდა, მამამ დაურეკა და ჰარი წასასვლელად მოემზადა შოტლანდიის რეზიდენციაში, სადაც დედოფალი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

თუმცა, მან მალევე გააცნობიერა, რომ მეგანის წაყვანა არ ღირდა, ნათქვამია მემუარებში. ამით ჰარი ხსნის იმ დაბნეულობას, რომელიც წარმოიშვა დედოფლის გარდაცვალების დღეს, როდესაც პრესამ ჯერ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჰარი და მეგანი ერთად მოგზაურობდნენ, შემდეგ კი ის, რომ მეგანი მასთან ერთად არ იქნებოდა. ამავდროულად, პრინცი უილიამის მეუღლე ქეითი ასევე არ წასულა შოტლანდიაში. ჰარიმ შეიტყო, რომ დედოფალი გარდაიცვალა, როდესაც მისი თვითმფრინავი დიდ ბრიტანეთში დაეშვა. არა ოჯახისგან, არამედ ახალი ამბებიდან, ხაზგასმით აღნიშნავს იგი თავის წიგნში.

„როდესაც თვითმფრინავი დაეშვა, ჩემი მობილურის ეკრანი განათდა. მეგისგან (მეგანი) შეტყობინება მოვიდა: „დამირეკე, როგორც კი ამას ნახავ.“ გავხსენი IOS-ის საიტი. ბებიაჩემი გარდაიცვალა. მამაჩემი მეფე გახდა“, – წერს პრინცი ჰარი.

უილიამი – მემკვიდრე, ჰარი – სათადარიგო...

წიგნის სათაური „სათადარიგო“ – ამბობს პრინცი ჰარი, შემთხვევით არ არის შერჩეული და ღრმა მნიშვნელობა აქვს. ეს სიტყვა, სავარაუდოდ, მამამისმა დამადებისთანავე თქვა.

გამოთქმა „მემკვიდრე და სათადარიგო“ („an heir and a spare“) ბრიტანულ ინგლისურში კარგად არის დამკვიდრებული. დიდგვაროვან ოჯახებში ორ შვილს ამას ნახევრად ხუმრობით ეძახიან. უფროსმა შვილმა უნდა მიიღოს მშობლის წოდება და ქონება, ხოლო უმცროსი არის გარანტი იმისა, რომ შთამომავლობა არ შეწყდება მაშინაც კი, თუ უფროსი შვილის შთამომავლობას რამე დაემართება. „კარგი. შენ მომეცი ერთი მემკვიდრე და ერთი სათადარიგო. შენი მისია შესრულებულია“, – უთხრა პრინცმა ჩარლზმა პრინცესა დაიანას, ამტკიცებს ჰარი. იგი განმარტავს, რომ ამის შესახებ მას უკვე 20 წლის ასაკში უთხრეს, თუმცა მემუარების ავტორი მის წყაროს არ ასახელებს.

პრინცი ჰარის აღიარების საფასური

საზოგადოებას ძალიან აინტერესებს, რამდენი გამოიმუშავა პრინცმა ჰარიმ მისი აღიარებიდან. ღირებულება ოფიციალურად არ არის დასახელებული, მაგრამ, ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, გამომცემელმა Penguin Random House-მა, ავტორს ავანსად $20 მილიონი (დაახლოებით 17 მილიონი ფუნტი) გადაუხადა.

როდესაც წიგნი დიდი ბრიტანეთის ბაზარზე გამოვა, 28 ფუნტ სტერლინგად გაიყიდება, ხოლო 20 ფუნტი აუდიო ვერსია ეღირება. ტირაჟის ზომა ჯერჯერობით უცნობია.

Penguin Random House-ის განცხადებაში ნათქვამია, რომ წიგნის გაყიდვიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი არ გადაეცემა პრინც ჰარის და ნაწილი ქველმოქმედებაში წავა. კერძოდ, ცნობილია, რომ მილიონ-ნახევარი დოლარის გადარიცხვა იგეგმება ორგანიზაცია Sentebale-სთვის, რომელიც ეხმარება ლესოტოსა და ბოტსვანაში აივ ინფიცირებულ ბავშვებსა და ახალგაზრდებს.

დღეს დრო უკრაინის მხარეს არ არის

აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი და ყოფილი თავდაცვის მდივანი რობერტ გეითსი მიიჩნევენ, რომ „დღეს დრო უკრაინის მხარეს არ არის“. ამის შესახებ აშშ-ის ყოფილი მაღალჩინოსნები „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში წერენ.

მათი პროგნოზით, უკრაინაში საბრძოლო მოქმედებები გაგრძელდება და ამის მიზეზი ისაა, რომ ვლადიმერ პუტინს კვლავაც სურს მთელი უკრაინის დაბრუნება რუსეთის კონტროლქვეშ, ხოლო თუ ამას ვერ შეძლებს, მაშინ ის უკრაინას გაანადგურებს.

„პუტინი მიიჩნევს, რომ მისი ისტორიული ბედისწერა და მესიანური მისია არის რუსეთის იმპერიის აღდგენა, ხოლო როგორც წლების წინ ზბიგნევ ბჟეზინსკიმ თქვა, რუსეთის იმპერია უკრაინის გარეშე ვერ იარსებებს“, — ნათქვამია სტატიაში. თეთრი სახლის ყოფილი მაღალჩინოსნების თქმით, **„პუტინს მიაჩნია, რომ უკრაინაში დრო მასზე მუშაობს და მას შეუძლია, გამოფიტოს უკრაინელები და რომ შეერთებული შტატებისა და ევროპის ერთიანობა, საბოლოო ჯამში, დაიშლება“.**

სტატიის ავტორები მიიჩნევენ, რომ „რუსეთის ეკონომიკა ომის პერიოდში მნიშვნელოვან დარტყმას მიიღებს, თუმცა რუსებს უფრო მეტიც გადაუტანიათ“.

„თუ რუსეთი წელს სამხედრო წარმატებას ვერ მიაღწევს, მან უნდა შეინარჩუნოს კონტროლი პოზიციებზე უკრაინის აღმოსავლეთსა და სამხრეთით, რომლებიც მოგვიანებით იქცევიან რუსეთის პლაცდარმად შეტევის განახლებისთვის, რათა დაისაკუთროს უკრაინის შავი ზღვის დარჩენილი სანაპირო, გაკონტროლოს მთელი დონბასი და შემდეგ წაიწიოს დასავლეთით“, — წერენ აშშ-ის ყოფილი სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი და პენტაგონის ყოფილი მეთაური რობერტ გეითსი.

მათივე თქმით, ომის შედეგად, უკრაინა როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური კუთხით დასავლეთზე, კერძოდ კი, აშშ-ზეა დამოკიდებული, ხოლო ფრონტის ხაზზე უკრაინელების მორიგი მნიშვნელოვანი წინსვლის გარეშე, დასავლეთის ზეწოლა უკრაინაზე, რათა სამშვიდობო ზავი გაფორმდეს, დროთა განმავლობაში გაიზრდება.

„ასეთ ვითარებაში ნებისმიერი სამშვიდობო ზავი რუსეთის პოზიციებს გააძლიერებს, რათა მათ შეჭრა განაახლონ, როდესაც მზად იქნებიან. ეს კი მიუღებელია“, — ნათქვამია „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებულ სტატიაში.

კონდოლიზა რაისისა და რობერტ გეითსის მოსაზრებით, მსგავსი სცენარის ასარიდებლად ერთადერთი გზა უკრაინისთვის სამხედრო დახმარების მნიშვნელოვანი გაზრდა იქნება.

„კონგრესმა ასეთი გაძლიერებისთვის თანხა გამოყო. ახლა საჭიროა აშშ-ისა და მისი მოკავშირეების გადაწყვეტილება, რათა უკრაინას საჭირო სამხედრო აღჭურვილობა მიაწოდონ, უპირველეს ყოვლისა კი, მობილური ჯავშანტექნიკა. აშშ-ის თანხმობა „ბრედლის“ ტიპის საბრძოლო მანქანების მიწოდების შესახებ, ქებას იმსახურებს, თუმცა დაგვიანებულია. იმის გამო, რომ ამერიკული „აბრამსის“ ტანკების მიწოდებაში სერიოზული ლოჯისტიკური პრობლემებია, ეს დანაკლისი გერმანიამ და სხვა მოკავშირეებმა უნდა შეავსონ. ნატო-ს წევრებმა ასევე უნდა მიაწოდონ უკრაინელებს შორ მანძილზე მოქმედი რაკეტები, თანამედროვე დრონები, საბრძოლო მასალა, დაზვერვისა და თვალთვალის დამატებითი საშუალებები და სხვა აღჭურვილობა. ეს უკრაინას რამდენიმე კვირაში სჭირდება და არა — თვეში.

უმჯობესია, პუტინი ახლა გააჩერო, ვიდრე აშშ-სა და ნატოსგან მეტი არ მოუთხოვიათ. ჩვენ გვყავს შემართებით აღსავსე პარტნიორი უკრაინაში, რომელიც მზადაა, აიღოს პასუხისმგებლობა ომის შედეგებზე, რათა ეს ჩვენ არ მოგვიწიოს სამომავლოდ. ჩვენ ვეთანხმებით ბაიდენის ადმინისტრაციის პოზიციას, რომ რუსეთთან პირდაპირი კონფრონტაცია აცილებული უნდა იყოს. თუმცა, გათამამებულმა პუტინმა ასეთი შანსი, შესაძლოა, არც მოგვცეს. რუსეთთან კონფრონტაციის ასაცილებლად მომავალში, აუცილებელია უკრაინის მხარდაჭერა დღეს, რომ მათ ოკუპანტებს წინააღმდეგობა გაუწიონ. ეს არის ისტორიის გაკვეთილი, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ, და ეს მოითხოვს გადაუდებელ ქმედებებს, ვიდრე ძალიან გვიან არ იქნება“, — ნათქვამია „ვაშინგტონ პოსტის“ სტატიაში.

ბრაზილიის ყოფილი პრეზიდენტი ჰოსპიტალიზებულია

ბრაზილიის ყოფილი პრეზიდენტი ჟაირ ბოლსონარუ აშშ-ში, ორლანდოს მახლობლად მდებარე საავადმყოფოშია მოთავსებული.

როგორც ბრაზილიის ყოფილი პრეზიდენტის მეუღლე, მიშელ ბოლსონარუ აცხადებს, ყოფილი პრეზიდენტი მუცლის არეში ტკივილის გამო გადაიყვანეს საავადმყოფოში. საერთაშორისო მედია ბოლსონარუს ოჯახთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ მისი მდგომარეობა არ არის საგანგაშო. ჟაირ ბოლსონარუ 2018 წელს დანით მუცელში დაჭრეს. მას შემდეგ მას მუცლის არეში ტკივილი აწუხებს. ჟაირ ბოლსონარუმ ბრაზილია ათი დღის წინ დატოვა და აშშ-ში გაემგზავრა. მან უარი განაცხადა გასულ კვირას ახალი პრეზიდენტის, ლუის ინასიო ლულა და სილვას ინაუგურაციის ცერემონიაში მონაწილეობაზე. აღსანიშნავია, რომ კონგრესში ამერიკელ კანონმდებელთა ნაწილი აშშ-დან ბოლსონარუს გაძევებას ითხოვს. **„ბოლსონარუ არ უნდა იყოს ფლორიდაში. აშშ არ უნდა იყოს თავშესაფარი ავტორიტარისთვის, რომელიც ბრაზილიაში შიდა ტერორიზმის შთაგონება გახდა. ის ბრაზილიაში უნდა დააბრუნონ“,** — განაცხადა დემოკრატმა კონგრესმენმა, ხოაკინ კასტრომ.

ბრაზილიის იუსტიციისა და უსაფრთხოების მინისტრი ფლავიო დინო აცხადებს, რომ ყოფილი პრეზიდენტის, ჟაირ ბოლსონარუს მომხრეების მიერ კონგრესისა და სხვა სამთავრობო შენობების შტურმის შემდეგ სამართალდამცველებმა 1 500-მდე ადამიანი დააკავეს.

ფლავიო დინომ მოსახლეობას კონგრესის შტურმთან დაკავშირებით ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდებისკენ მოუწოდა. როგორც იუსტიციის მინისტრმა პრესკონფერენციაზე აღნიშნა, კონგრესის შტურმის შემდეგ ფედერალურმა პოლიციამ 40 ავტობუსი დააკავა, რომელთაგან ერთ-ერთში ცეცხლსასროლი იარაღი აღმოჩნდა. ფლავიო დინომ განაცხადა, რომ უნდა იყოს უზრუნველყოფილი, პროტესტის ორგანიზატორებმა პასუხი აგონ.

ამასთან, დინომ ბრაზილიის კონგრესის შტურმი დონალდ ტრამპის მომხრეების მიერ კაპიტოლიუმის შტურმს შეადარა. ყოფილი პრეზიდენტის, ჟაირ ბოლსონარუს მხარდამჭერები ჯერ — ქვეყნის პარლამენტის, შემდეგ კი უზენაესი სასამართლოს შენობასა და პრეზიდენტის სასახლეში შეიჭრნენ. ჟაირ ბოლსონარუ ლუის ინასიო ლულა და სილვასთან არჩევნებში ოქტომბერში დამარცხდა, თუმცა ბოლსონარუს მომხრეთა ნაწილი არჩევნების შედეგების აღიარებაზე უარს აცხადებს.



შოკირებული ვიყავი იმით, რაც ვიხილე

„რა თქმა უნდა, შოკირებული ვიყავი იმით, რაც ვიხილე, თუმცა უნდა გითხრათ, რომ ვენდობი ბრაზილიას, ვენდობი ბრაზილიის (სახელმწიფო) ინსტიტუტებ და დარწმუნებული ვარ, რომ ბრაზილია ამ სიტუაციას ადეკვატური პასუხისმგებლობით გაუმკლავდება, ხოლო ბრაზილიის დემოკრატიული ფუნქციონირება გაგრძელდება“, — აღნიშნა გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერეშმა.

ბრაზილიის ყოფილი პრეზიდენტის ჟაირ ბოლსონარუს ათასობით მომხრე დედაქალაქის ქუჩებში გამოვიდა ისინი ნაციონალური კონგრესისა და ფედერალური სასამართლოს შენობებში შეიჭრნენ, მოქმედი პრეზიდენტის რეზიდენცია კი ალყაში მოაქციეს. დემონსტრანტები გაყალბებულს უწოდებდნენ ქვეყანაში ჩატარებულ არჩევნებს, რომლის შემდეგაც პრეზიდენტის პორტფელი ლულა და სილვამ გადაიბარა. აქციის დროს პრეზიდენტი ლულა და სილვა სამუშაო ვიზიტით სან-პაულუში იმყოფებოდა. ქვეყნის პირველმა პირმა შექმნილი ვითარების ფონზე ერთთვიანი საგანგებო ვითარება გამოაცხადა.

◎ ინტერნეტ-მოამბე

ერთი კაცის ორი სახე

დიდი ლეონარდო და ვინჩის შედევრებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია „საიდუმლო სერობა“, რომლის შექმნას მან ძალიან დიდი დრო მოანდომა. ცნობილია, რომ მუშაობისას ყველაზე მეტად მას იესო ქრისტესა და იუდა ისკარიოტელის დახატვა გაუჭირდა — მაცხოვრის სახეზე მხატვარს სიკეთისა და სათნოების გამოსახვა სურდა, მოციქულისაზე კი — სიხარბისა და ბოროტების.

მას შემდეგ, რაც ტილო თითქმის მზად იყო, ლეონარდოს ხატვა შეუწყვეტია და მუშაობა მხოლოდ მას შემდეგ გაუგრძელებია, რაც შესაფერისი ტიპაჟებისთვის მიუგნია. ერთხელ, როცა მხატვარი ეკლესიაში მომღერალთა გუნდს უსმენდა, ერთ-ერთ ყმაწვილში იესოს ნათელი, სრულყოფილი სახე შეუცვნია. მას ახალგაზრდა სახელოსნოში მიუწვევია და რამდენიმე ჩანახატიც გაუკეთებია.

ამის მერე კი გენიოსს მთელი სამი წელი დასჭირდა, რომ იუდას სახე შეექმნა, რადგან სასურველი მოდელისთვის ვერაფრით მიეგნო. საჭირო პროტოტიპს ლეონარდო დიდხანს ეძებდა და ერთხელაც ქუჩაში მთვრალ, ბინძურ, ჩამოძონძილ კაცს გადაჰყრია, რომლის სახეში მანკიერებისა და სიბოროტის ნაკვთები, ანუ იუდას სახე დაუნახავს და ისიც თავის სახელოსნოში წაუყვანია. მამაკაცი უგონოდ მთვრალი იყო და ვერ აცნობიერებდა, თუ სად მოხვდა. ლეონარდომ იუდას სახე დახატა, რომელზეც ცოდვა, ეგოიზმი, ბედუკუღმართობა იყო აღბეჭდილი.

...მხატვარს მუშაობა რომ დაუსრულებია, ამასობაში მათხოვარიც გამოფხიზლებულა და როცა კი ნახატი უნახავს, შეშინებულს წამოუძახია:

— ეს ნახატი მე ადრეც მინახავს!

— კი მაგრამ, სად? ეს ხომ შეუძლებელია! — განცვიფრებულა ლეონარდო.

— სამი წლის წინათ, სანამ ყველაფერს, რაც მებადა დავკარგავდი, ეკლესიის გუნდში ვმღეროდი, მაშინ ნათელი მომავლის იმედი მქონდა... მერე ერთმა მხატვარმა წამიყვანა და ჩემი სახე იესო ქრისტეს სახის დასახატად გამოიყენა...

მარილი

ერთხელ დავინახე, დედაჩემი როგორ სთხოვდა ჩვენს გაჭირვებულ მეზობლებს მარილს. გამიკვირდა და ვკითხე:

— რატომ სთხოვ, მარილი ხომ გვაქვს სახლში?

დედამ კი ამიხსნა: „ისინი ხშირად მოგვმართავენ დახმარებისთვის, ვინაიდან ძალიან უჭირთ მატერიალურად. ჰოდა, სწორედ ამიტომ მინდოდა მეთხოვა მათთვის რამე ისეთი, რაც თავადაც ჰქონდათ და რისი გაღებაც არ გაუჭირდებოდათ. ასე ისინი იგრძნობენ, რომ ჩვენც გვჭირდებიან და შემდგომში უფრო გაუადვილდებათ რაიმეს თხოვნა“.

ვინ ხარ შენ?

ნეაპოლის ერთ-ერთ კაფეში, კედელზე პლაკატია გაკრული, რომელზეც წერია:

„იესო ქრისტე ებრაელი იყო, შენი ავტომანქანა გერმანულია, ფული — საერთოევროპული, დემოკრატია, რომელშიც ცხოვრობ — ბერძნული, ყავა, რომელსაც დილაობით მიირთმევ — ბრაზილიური, ციფრები, რომლებსაც ყოველდღიურად იყენებ — არაბული, მობილური ტელეფონი — ფინური, ტელევიზორი — იაპონური და სხვა და სხვა და სხვა...

ჰოდა, რა გამოდის, ახლაც, იტყვი, რომ შენს ეროვნებას დიდი მნიშვნელობა აქვს?“

მოამზადა

ოთარ ტურაბელიძემ

◉ ოვალური ბურთი

საქართველოც!

სარაგბო გამოცემა Rugby World-მა 2022 წლის რაგბის უდიდესი მომენტები დაასახელა, სადაც საქართველოს მიერ ბათუმში, იტალიის ნაკრებისა და კარდიფში უელსის ნაკრების დამარცხებებიც მოხვდა. **„ჯერ საქართველომ იტალია დაამარცხა ბათუმში, შემდეგ კი ნოემბერში გასაოცარი სცენები ვნახეთ უელსში, როდესაც საქართველომ 13:12 სძლია უელსს. ჩვენ უბრალოდ სიამოვნებას ვიღებდით დავით ნინიაშვილის აღზევებით დანარჩენებთან ერთად.“** – წერია გამოცემაში.

საქართველოს წარმატებასთან ერთად, წლის მომენტებში ადგილი ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალმა, ირლანდიელთა მიერ ახალი ზელანდიის სტუმრად დამარცხებამ, საფრანგეთის გრანდ სლემმა 6 ერზე, ედი ჯონსის ინგლისის ნაკრებიდან გაშვებამ, ჩილეს მიერ აშშ-ის ბოლო წუთზე დამარცხებამ და პორტუგალიის მსოფლიოს ჩემპიონატზე დაბრუნებამ დაიმსახურეს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა ტიერ 1-ის ნაკრები, იტალია, ისტორიაში პირველად აგვისტოში, ბათუმში დაამარცხა. „ბორჯღალოსნებმა“ ეს არ იკმარეს და ნოემბერში უკვე პირველი ეშელონის გუნდი, ამჯერად უელსი, სტუმრადაც დაამარცხეს.

◉ მემორიალი

მეექვსედ!

რუსთავის საკალათბურთო კლუბი მემორიალის გამარჯვებულია. ანატოლი ბოისას გაწვრთნილმა ქვემოქართლურმა გუნდმა ოლიმპიური ჩემპიონების – ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას ხსოვნის ტურნირი, რომელიც კალათბურთის ფედერაციის ორგანიზებით 2006 წლიდან ტარდება, მეექვსედ მოიგო. სატიტულო მატჩში ქვემოქართლელებმა საკალათბურთო კლუბი მეგა დაამარცხეს – 81:64.

მატჩის საბოლოო ანგარიში რუსთაველთა სოლიდურ უპირატესობაზე მიუთითებს, რაც მეორე ნახევარში გამოიკვეთა, მანამდე კი, პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. მეგა, რომელიც მემორიალის ფინალში თსუ-ს ძლევის შედეგად გავიდა, რუსთაველებს სოლიდურ წინააღმდეგობას უწევდა. სხვათა შორის, ეს გახლდათ მეგასა და რუსთავის მეორე შეხვედრა ამ ტურნირზე. ამ გუნდების თამაში ჯგუფურ ეტაპზე რუსთაველთა 14-ქულიანი გამარჯვებით დასრულდა და ეს გახლდათ მემორიალის პირველი მატჩი. ასე რომ, ზურაბ საკანდელიძისა და მიხეილ ქორქიას 2023 წლის გათამაშება რუსთავი-მეგას ბრძოლით დაიწყო და დასრულდა.

ფინალური მატჩის პირველი ნახევარი რუსთაველებმა 2 ქულით – 32:30 მოიგეს, თუმცა დიდი შესვენების შემდეგ მასზე სრული კონტროლი დაამყარეს. ჩინებულად ირჯებოდა მეგას მეფარე მარქუს გილსონი, მაგრამ გუნდის მთავარი გამთამაშებელი, რონი როზიე ვერ იყო იშტაზე. ის რუსთაველთა უკანახაზელის, ლუკა ბულაშვილის ჩრდილში მოექცა, რომელმაც საბოლოოდ 23 ქულა მოაგროვა და ტურნირის საუკეთესო უკანახაზელის პრიზიც მოიგო. მე-3 პერიოდი რუსთაველებმა 28:8 მოიგეს და მატჩის ბედიც ფაქტობრივად დასკვნით მეოთხედის დაწყებამდე გადაწყვიტეს.

ბოლო პერიოდში ბევრი არაფერი შეცვლილა. მეგამ რაც მოახერხა, ჩამორჩენის 15 ქულამდე შემცირება იყო, თუმცა საბოლოოდ 23-ქულიანი მარცხი განიცადა. გამარჯვებულთაგან ბომბარდირი ლუკა ბულაშვილი გახდა. გუგა პატაშურმა 16 ქულა და 9 მოხსნა მოინაგრა. რევაზ როგავას ანგარიშზე 15 ქულა და 8 პასი დაგროვდა. მეგაში საუკეთესო 27 ქულითა და 16 მოხსნით მარქუს გილსონი გახდა, ოთარ ბულიავამ 18 ქულა და 7 მოხსნა მიითვალა.

ფინალური მატჩის შემდეგ დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. ტურნირის საუკეთესო ფორვარდს, გუგა პატაშურს სპეციალური პრიზი მიხეილ ქორქიას შვილმა თამუნა ქორქიამ გადასცა. საუკეთესო უკანახაზელის პრიზი ლუკა ბულაშვილმა დაიმსახურა, რომელიც ზურაბ საკანდელიძის მეუღლემ, მაცაცო მგელაძე-საკანდელიძემ, რუსთაველთა კაპიტანი აკაკი დვალიშვილი კი გარდამავალი თასით ზურაბ საკანდელიძის შვილიშვილმა – გიორგი ჩაჩავამ დააჯილდოვეს.

მურთაზ ხურცილავა 80

განუმეორებელი

ძნელი სათქმელია, საახალწლო ღრიანცელის ბრალია თუ ძვირფასი უფროსი მეგობრის – სიომა ბარქაიას გარდაცვალებისა, მაგრამ ფაქტია, რომ როგორღაც უხმაუროდ ჩაიარა ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის, დიდი კაპიტნის **მურთაზ ხურცილავას** 80 წლის იუბილემ. არადა, საამაყო და გასახსენებელი თუ ვინმეს აქვს, კალისტრატოვიჩი მათ შორის ერთ-ერთი უპირველესთაგანი გახლავთ.

თავად განსაჯეთ: მარტვილის რაიონის სოფელ ბანძაში სკოლის დირექტორის ოჯახში დაბადებული მომავალი ვარსკვლავი თანამემამულეთაგან ერთადერთია, რომელსაც სპორტის საყვარელ სახეობაში სამივე უმაღლესი რანგის ფორუმის მედლები აქვს მოხვეჭილი: ვერცხლი – ევროპის ჩემპიონატზე და ბრინჯაო – მუნდიალსა და ოლიმპიადაზე, სულ კი შთამბეჭდავი სანაკრებო კარიერა, რომელსაც რეფრენად პოპულარული ტელეკომენტატორის ნიკოლაი ოზეროვის უკვდავი შეძახილი-ვედრება მიჰყვებოდა – ვირუჩაი მურტაზ, ვირუჩაი! – 69 შეხვედრაში გატანილი 6 გოლით დაასრულა.

სხვათა შორის, თბილისის „დინამოში“ გატარებული 15 საამაყო სეზონის გვირგვინად, რომელმაც მეტოქეთა კარში 293 მატჩში გატანილი 15 ბურთი დაიტია, 1964 წლის პირველი საკავშირო ტრიუმფის ოქრო უნდა ქცეულიყო, მაგრამ ტრავმის გამო მაშინ მხოლოდ 4 თამაში ჩაატარა და იმდროინდელი დებულების შესაბამისად სანუკვარი ჯილდო ვერ მიიღო.

ისიც სათქმელია, რომ ოცნების გუნდი, ბევრი თანაკლუბელის მსგავსად, დაუმსახურებელი გულისტკივილით დაატოვებინეს, ხოლო გედის სიმღერა ქუთაისის „ტორპედოში“ შეასრულა (47 შეხვედრა, 4 გოლი). ყველაფერი კი მშობლიური რაიონის „სალხინოს“ მოთამაშე-მწვრთნელის ბიჭიკო შალელაშვილის ბავშვობისდროინდელი ვარჯიშებითა და გენიალური სელექციონერის ანდრო ჟორდანიას გამორჩეული ალღოთი დაიწყო, რომელმაც ჩაფსკვნილ ყმაწვილში დაცვის მომავალი ბურჯი ამოიცნო.

ჩვენი სახელოვანი თანამედროვე დამრიგებლის ამპლუაშიც ახლოს იყო მიზანთან, როცა ჯერ „სამტრედიას“ არ აზეიმეს დამოუკიდებელი სამშობლოს ჩემპიონობა, ხოლო შემდეგ თბილისის „დინამო“ შეაჩერეს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის ზღურბლთან...

მოგეხსენებათ, ისტორიას არაერთი უგვირგვინო მეფე შემორჩა. ჰოდა, ყველაფრის გათვალისწინებით, სასიქადულო კოლხს თამამად შეგვიძლია უტიტულო მამულიშვილი ვუწოდოთ.

მრავალჟამიერ, ბერმუხავ!

„სრ“ სპორტის რედაქცია.

◉ მუქარა

თუ რუსებს დაუშვებენ...

უკრაინის მოკავშირე ქვეყნებმა შესაძლოა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ბოიკოტი გამოუცხადონ, იმ შემთხვევაში, თუ რუსი სპორტსმენები პარიზის 2024 წლის ოლიმპიურ თამაშებში გამოვლენ.

რუსი და ბელარუსი სპორტსმენები საერთაშორისო შეჯიბრებების დიდი ნაწილიდან მოკვეთილნი არიან და ვერც ნეიტრალური დროშით ასპარეზობენ.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა წინა თვეში განაცხადა, რომ განიხილავს იმ შესაძლებლობას, რუს და ბელარუს სპორტსმენებს ნეიტრალური დროშით მიეცეთ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება, ვინაიდან სალიცენზიო ტურნირების დიდი ნაწილი მიმდინარე წლიდან იწყება.

„რუსი სპორტსმენების მისაღები პირობების შემუშავების გეგმა ნაადრევია. უკრაინის მოკავშირეების და მთელი ევროპის შეშფოთება სრულიად გამართლებულია. მეტი ინფორმაციაა საჭირო პუტინისა და მისი სამხედრო ლიდერების შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ საშინლად აგრესიულები არიან. შესაძლოა უკრაინის მოკავშირე ქვეყნებმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ბოიკოტი გამოუცხადონ“ - განაცხადა ნორვეგიელმა გერჰარდ ჰაიბერგმა, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს 23 წელია წარმოადგენს

რამდენიმე კვირის წინათ საფრანგეთის პრეზიდენტმა, ემანუელ მაკრონმაც განაცხადა, რომ რუსი სპორტსმენების ოლიმპიადაზე გამოსვლის წინააღმდეგი არაა, უკრაინის პრეზიდენტმა, ვოლოდიმირ ზელენსკიმ კი მსგავსი ფაქტი მიუღებლად მიიჩნია. პარიზი ზაფხულის ოლიმპიადას 2024 წელს, ზუსტად ქვეყანაში პირველი ოლიმპიადის ჩატარებიდან საუკუნის თავზე უმასპინძლებს. ზაფხულის 33-ე ოლიმპიადა 26 ივლისს დაიწყება და 11 აგვისტოს დასრულდება.

◉ კორტზე

ნაომი ოსაკა არ ითამაშებს

დიდი სლემის ოთხი ტიტულის მფლობელი, იაპონელი **ნაომი ოსაკა** ავსტრალიის ღია პირველობაზე არ ითამაშებს. ეს ინფორმაცია ტურნირის ორგანიზატორებმა გაავრცელეს, რომლებსაც მიზეზი არ დაუსახელებიათ. მის ნაცვლად მელბურნში უკრაინელი დაიანა იასტრჟემსკა ითამაშებს.

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ავსტრალიის ღიას წინა ტურნირები (ადელაიდასა და ჰობარტში) გამოტოვა, რამაც მელბურნში მის გამოსვლასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნები გააჩინა. გუშინ კი ოფიციალურად დადასტურდა, რომ ის არ ითამაშებს.

ოსაკას ავსტრალიის ღია პირველობა ორჯერ, 2019 და 2021 წლებში აქვს მოგებული. WTA-ს ტურზე მან ბოლოს შარშან, სექტემბერში ითამაშა. ტოკიოს პანპასიფიკი მან მეორე წრეში, ავადმყოფობის გამო დატოვა, მანამდე კი წინა სამ ტურნირს, მათ შორის აშშ-ის ღია პირველობას, პირველივე წრეში გამოეთიშა.

ეს ავსტრალიის ღიას ქალთა ბადის მეორე ტიტულოვანი ჩოგბურთელის დანაკლისია. უფრო ადრე ტურნირზე თამაშზე უარი ვენუს უილიამსმა განაცხადა, ვინც ამის მიზეზად ტრავმა დაასახელა.

დაუვიწყარი მეგობარი



გოჩა ჩოგოვაძის გახსენება

„ჩვენ ყველანი წარმოშობით ბავშვობიდან მოვდივართ“, — დიდებული ფრანგი მწერლის ანტუან დე სენტ-ეკზიუპერის ეს გულის სიღრმეში ჩამწვდომი, ერთგვარი სევდის შარავანდედით შეფერილი სიტყვები, განსაკუთრებულ ჟღერადობას უფრო სადღესასწაულო დღეებში იძენს. აი, ისეთებში, როგორიცაა ახალი წელი და შობა. მით უმეტეს მაშინ, როცა მათთან ახლოს ჩემთვის განსაკუთრებული თარიღიც არსებობს. 11 იანვარს ჩემი სიყრმის მეგობრის, კეთილშობილებითა და მოყვასისადმი განსაკუთრებული სიყვარულით აღსავსე კაცის, გულმხურვალე მამულიშვილის, დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის **გოჩა ჩოგოვაძის** დაბადების დღეა.

ქუთაისში დაბადებულმა ბიჭმა სკოლა თბილისში ოქროს მედალზე დაამთავრა და ჩვენი მეგობრობაც სწორედ სკოლის ბედნიერი პერიოდიდან დაიწყო, რომელიც ცხოვრების მთელ გზაზე გამოგვყვა — ჯერ ვაკის უბნიდან, შემდეგ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან, სადაც ის ავტომატიკისა და ტელემექანიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, მე კი — სამშენებლოზე.

გოჩა ჩოგოვაძე თავიდანვე ყველა საქმეში გამორჩეული იყო — სწავლაშიც, საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც, სპორტშიც. თავისი ბუნების საუცხოო თვისებები — საქმისადმი თავდადება, გასაოცარი შრომისმოყვარეობა, სახელმწიფოებრივი მასშტაბის ალღო და აზროვნება, ასევე პედაგოგიური ნიჭი — მან შემდგომ პრაქტიკულ მუშაობაში, ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე გამოავლინა.

სახელოვანმა მეცნიერმა და წარჩინებულმა სახელმწიფო მოღვაწემ, გოჩა ჩოგოვაძემ უაღრესად საინტერესო და შთამბეჭდავი ცხოვრების გზა განვლო. იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს პოლიტექნიკური ჯერ ინსტიტუტის, მერე უნივერსიტეტის პროფესორი, შემდგომ კი მისი რექტორი. მანამდე კი მუშაობდა იუნესკოს განათლების სექტორის ინფორმატიკის განყოფილების უფროსად.

წლების მანძილზე გოჩა ჩოგოვაძე იყო საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში და ესპანეთის სამეფოში, აგრეთვე საქართველოს წარმომადგენელი იუნესკოში. მას არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრთან, ლეგენდარულ ჟაკ შირაკთან.

საფრანგეთში მივლინებით ყოფნის დროს ჩვენ ერთად ვსტუმრობდით დიჟონს, დოვილს, ონფლოს და მარსელს. მე და გოჩას პარიზში გვყავდა ორი შესანიშნავი მეგობარი — ავთანდილ ქორიძე, რომელმაც 18 წელი წარმატებით იღვაწა იუნესკოში, გაეროს ამ ავტორიტეტულ ორგანიზაციაში და ვლადიმერ ლომეიკო, საბჭოთა კავშირის მუდმივი წარმომადგენელი იუნესკოში, შესანიშნავი პიროვნება, საქართველოს დიდი მეგობარი, რომელიც მეგობრობდა სოლიკო ხაბეიშვილთან, ოთარ ჩერქეზიასთან და გოგი ანდრონიკაშვილთან.

წლების მანძილზე გოჩა ჩოგოვაძე იყო მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციისა და ასოციაციის წევრი. მას დიდ პატივს მიაგებდნენ საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში, როგორც სწავლულ ინჟინერსა და უზადო პროფესიონალს ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში. კერძოდ, მან საფუძველი ჩაუყარა საქართველოში მართვის ავტომატიზებული სისტემების შესწავლასა და ამ დარგში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. ხელოვნური ინტელექტის შექმნის საკითხებზე მისი სამეცნიერო ნაშრომები კი უმაღლეს დონეზე შესრულებული კვლევებია.

ერთი პერიოდი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში განათლების და მეცნიერების განყოფილების გამგედაც მუშაობდა და იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მინდა აღვნიშნო, რომ გოჩა ჩოგოვაძე ოცი მონოგრაფიის, ექვსი გამოგონებისა და ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მისი შრომები გამოქვეყნებულია აშშ, ინგლისში, გერმანიაში, ჩინეთში, საფრანგეთში, რუსეთში, ჰოლანდიაში და სხვაგან.

2001 წელს, დაბადებიდან 60 წლისთავთან დაკავშირებით, იგი დაჯილდოვდა გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედლით. მისი მოღვაწეობა აღნიშნულია ასევე მაღალი სახელმწიფო ჯილდოებით.

ჩემი ძვირფასი, შარშან გარდაცვლილი მეგობრის, გოჩა ჩოგოვაძის ცხოვრების ნიშანსვეტებს ვრცლად იმიტომ ვიხსენებ, რომ მინდა რაც შეიძლება მკაფიოდ წარმოვაჩინო მისი ადამიანური თვისებები. პასუხსაგებ თანამდებობებზე უაღრესად დატვირთული და დაძაბული მუშაობის მიუხედავად, იგი ყველასადმი უაღრესად ყურადღებიანი, გულისხმიერი, გაჭირვებაში უმალ გვერდში მდგომი კაცი იყო და თავის არაჩვეულებრივ მეუღლესთან, ქალბატონ მანანა ჯიბლაძესთან ერთად, ასეთად დარჩა გადატანილი უდიდესი ტრაგედიის, ვაჟიშვილის გოგლიკოს დაღუპვის შემდეგაც.

პირადად მე და ჩემი ოჯახი, მუდამ მადლიერნი ვიქნებით თუნდაც მხოლოდ იმ თანადგომისთვის, რომელიც მან ჩემი შვილიშვილის მცდარი დიაგნოზის გასაქარწყლებლად გამოიჩინა პარიზში მოღვაწეობის პერიოდში.

ახლა, როცა ჩემი ცხოვრების განვლილ გზას გავცქერი, უამრავი იმქვეყნად წასული მეგობრის, ნაღდი მამულიშვილისა და საუცხოო ადამიანური თვისებებით უხვად დაჯილდოებული კაცის სახე წარმომიდგება თვალწინ, რომელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება გოჩა ჩოგოვაძეა.

ჩემი აზრით, უნდა აღიძრას შუამდგომლობა დედაქალაქის მერიის წინაშე, რათა ტექნიკური უნივერსიტეტის წინ დაიდგას დიდი მოღვაწის და ღირსეული პიროვნების ბატონი გოჩა ჩოგოვაძის ბიუსტი ისევე, როგორც დედაუნივერსიტეტის და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის წინ დგას ღვაწლმოსილ მეცნიერთა ბიუსტები.

შეხვედრამდე, ჩემო გოჩუნი!..

ომარ მარგველაშვილი



დარეჯან ელიაძე, შალვა მგალობლიშვილი, ნონა და თემურ ბრელიძეები, კახა სალია, აბელი პატარიძე, მარინა კანდელაკი, გია გაბრიჭიძე ოჯახებით იუწყებიან უახლოესი ადამიანის, საზოგადოების ღირსეული წევრის, სანიმუშო ოჯახის თავკაცის

გურამ პიტავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს და სხვა ჭირისუფალთ.

ღმერთმა ნათელში დაუმკვიდროს სასუფეველი.

მამუკა ბიძინაშვილი

გაკვირვებული ვიყავი, ამ ბოლო დროს რომ აღარ მიკავშირდებოდა და ახალ ჩანაფიქრებს აღარ მიზიარებდა. თურმე, მძიმედ ყოფილა დაავადებული.

არადა, პროექტები უამრავი ჰქონდა და ბევრის განხორციელება მოასწრო კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ სულ 60 წელი გაიმეტა მისთვის არსთა გამრიგემ.

საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ-ერთი პირველი კერძო კლუბის — იბერიას, აგრეთვე თსუ-სა და შევარდენის დაფუძნებაც კმარა, ხოლო ყველაფერი ისტორიული კლუბის — სოხუმის დინამოს აღდგენით დააგვირგვინა, რასაც ამავე სახელწოდების ქალთა გუნდის შექმნაც მოჰყვა.

ვინც მამუკა ბიძინაშვილს იცნობდა, კარგად ეცოდინება, ეროვნული მოძრაობის აქტიურ წევრსა და საქართველოს დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის დელეგატს, სამშობლოს როგორი გრძნობა განსაკვირველი გამოარჩევდა ყველასაგან.

დაბოლოს — მრავლისმთქმელი ფაქტი — ფეხბურთის ფანატიკოსმა ცხოვრებისეულ მოწოდებას სახლი შეწირა! ასეთად დაგვამახსოვრდება მუდამ.

მშვიდობით, მეგობარო!

გია პლატონიშვილი

პოლიციელის მკვლელ პოლიციელს პატიმრობა შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების მთავარი სამმართველოს უფროსის, ალექსანდრე შეყილაძის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ, შსს-ს კადრების განკარგულების დეპარტამენტის თანამშრომელ გიორგი მღებრიშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. ბრალდების მხარე უმკაცრესი ღონისძიების გამოყენებას ითხოვდა, რადგან არსებობს მიმალვის, მოწმეებზე ზემოქმედების და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეები. დაცვის მხარეს ბრალდებულის გადაწყვეტილებით, შუამდგომლობა არ დაუყენებია. გიორგი მღებრიშვილმა დღევანდელ სხდომაზე პოზიცია დაფიქსირა. მან განაცხადა, რომ დანაშაული განზრახ არ ჩაუდენია.

თვითმკვლელობამდე მიიყვანეს და პასუხსაც აგებენ!

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და თანასწორუფლებიანობის დარღვევისა და ჯგუფურად ჩადენილი დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე ოთხი პირი დამნაშავედ ცნო, — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2014 წლის 16 სექტემბერს, საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში, ბრალდებულები მიიჩნევდნენ რა, რომ დაზარალებული, ქალისთვის შეუფერებელ საქციელს სჩადიოდა, იგი ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩააყენეს, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, რის შემდეგაც იძულებით ჩასვეს ავტომანქანაში და სოფლის ცენტრში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მიიყვანეს. ბრალდებულები დაზარალებულს სოფლის მოსახლეობის თანდასწრებით დამამცირებელი სიტყვებით მოიხსენიებდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ და აცხადებდნენ, რომ ქალისთვის შეუფერებელი საქციელის გამო იგი უნდა დასჯილიყო. დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების ქმედებამ დაზარალებულის მორალური ტანჯვა გამოიწვია, რის გამოც მან 2014 წლის 18 სექტემბერს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. სასამართლომ ოთხივე პირი დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144 ტერცია მუხლის მეორე ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებით (დამამცირებელი მოპყრობა, ჩადენილი ჯგუფურად და სქესის ნიშნით ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევით) და სასჯელის სახედ და ზომად 5 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ხიდზე 7 ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა!

თბილისში, ვახუშტი ბაგრატიონის ხიდზე 7 ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა. არსებული ინფორმაციით, ავტოსაგზაო შემთხვევის მიზეზი ერთ-ერთი ავტომობილის მიერ ზამთრის საბურავების არქონა გახდა.

ღვაწლმოსილი მშენებელი

მერაბ ნიკოლაიშვილი იუბილარია

საქართველოს მშენებელთა ფედერაცია და სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“ გულითადად ულოცავს ღირსეულ მამულიშვილს, ღვაწლმოსილ მშენებელსა და ახალგაზრდა თაობის აღმზრდელ პედაგოგს, ბატონ მერაბ ნიკოლაიშვილს დაბადებიდან 85 წლისთავს, რომელიც მას შეუსრულდა ქრისტეს შობის სადღესასწაულო კვირეულში მიმდინარე წლის 9 იანვარს.

მისი მოღვაწეობის ექვსი ათეული წელი მრავალფეროვანია და მოიცავს შენობა-ნაგებობათა და საინჟინრო კომუნიკაციების როგორც პროექტირებას, ისე მათ მშენებლობას, მშენებლობის მართვის უმაღლეს სახელმწიფო სტრუქტურებში მრავალწლიან ნაყოფიერ საქმიანობას და პარალელურად ზემოთ ხსენებულისა, აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბატონი მერაბი 1962-69 წლებში მუშაობდა ამავე ინსტიტუტში ასისტენტად და ლექტორად. 1969-75 წლებში მუშაობდა საპროექტო ინსტიტუტ „საქშახტპროექტში“ სხვადასხვა თანამდებობაზე.

1975-2004 წლებში სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს მშენებლობის საქმეთა კომიტეტში სამმართველოს უფროსად, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ, პირველ მოადგილედ, საქართველოს არქიტექტურისა და მშენებლობის მინისტრის მოადგილედ, საქართველოს მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრის პირველ მოადგილედ, მინისტრის მოვალეობის შემსრულებლად. ამჟამად კი ბატონი მერაბი კომპანია „მშენპროექტის“ კონსულტანტია.

ბატონი მერაბი არის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრი, ავტორია 40-მდე სამეცნიერო ნაშრომისა და პუბლიკაციის, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, არის საქართველოს დამსახურებული მშენებელი.

შინ და გარეთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, მრავალი წლის სიცოცხლეს, ულევ სიხარულსა და ოჯახურ იდილიას ვუსურვებთ ბატონ მერაბს.

საქართველოს მშენებელთა ფედერაცია,
სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“.

თეიმურაზ ჯანაშია, ნოდარ თოფურია

ექთნების საპროტესტო აქციები

ნიუ იორკში ორი უმსხვილესი საავადმყოფოს 7000-ზე მეტმა ექთანმა საპროტესტო აქცია გამართა. მედპერსონალი კადრების დეფიციტის გამო გართულებულ სამუშაო პირობებს აპროტესტებს და ხელფასების მატებას ითხოვს.

საპროტესტო გამოსვლაში Mount Sinai-სა და Montefiore Medical Center-ის საავადმყოფოების თანამშრომლებმა მიიღეს მონაწილეობა. პროფკავშირის განცხადებით, ხელფასების 19-პროცენტიანი ზრდის შეთავაზება არ არის საკმარისი მედპერსონალის დეფიციტის პრობლემის გადასაჭრელად.

მედიასთან საუბრისას ექთნები გადაღლილობას უჩივიან და აცხადებენ, რომ თუკი აქამდე ყოველ ოთხ პაციენტზე ერთი ექთანი მოდიოდა, ახლა ყოველ ექვს პაციენტზე ერთი ექთანია გათვალისწინებული, რაც პაციენტებისთვის საფრთხის შემცველია.

კატის ბედი, სანატრელი გახდა...

მომდერალისა და მსახიობის 33 წლის ტეილორ სვიფტის კატა, პატრონივით მდიდარია. შინაური ცხოველი სახელად ოლივია ბენსონი, მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ცხოველების სიაში რიგით მესამე ადგილზეა – მისი ქონება $97 მილიონია.

„ოლივიამ წარმატებას ინსტაგრამ ინფლუენსერობის გარეთაც მიაღწია,“ – აღნიშნული იყო სიაში. – „შოტლანდიურმა ფოლდმა ქონება მეპატრონის მუსიკალურ ვიდეოებში მონაწილეობითაც დააგროვა, აქვს საკუთარი გიზნესი და ჩნდება მაღალბიუჯეტიან რეკლამებში.“

ოლივიამ მონაწილეობა მიიღო ისეთი ცნობილი კომპანიების რეკლამებში, როგორიცაა DirecTV, Diet Coke და AT&T ასევე, ტეილორის მუსიკალურ ვიდეოში ME! და Blank Space. კატის წყალი გადმომსხმოდესო, რომ ინატრებ ისეთი ამბავია... ნეტა მემკვიდრეობას ვის დაუტოვებს მილიონერი ოლივია?..

ღვთისა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაული



რომის პაპმა ფრანცისკემ უკრაინაში ომი ღვთისა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულს შეადარა და კიდევ ერთხელ გამოვიდა კონფლიქტის შეწყვეტის მოწოდებით. ინფორმაციას ამის შესახებ ტელეკომპანია CNN-ი ავრცელებს.

ვატიკანში დიპლომატიური კორპუსის წინაშე სიტყვით გამოსვლისას რომის პაპმა აღნიშნა, რომ კონფლიქტები, როგორიცაა უკრაინაში ომი, გამოწვეული სიკვდილითა და ნგრევით და სამოქალაქო ინფრასტრუქტურაზე თავდასხმებით ღვთისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს ჰგავს. **„დღეს მე ვალდებული ვარ, განვაახლო ჩემი მოწოდება ამ უაზრო კონფლიქტის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ, რომლის შედეგები (მსოფლიოს) რეგიონებში იგრძნობა, ევროპის ფარგლებს გარეთ, უპირველეს ყოვლისა, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებშიო“**, – აღნიშნა რომის პაპმა.

ტრაგედია ოკლაჰომაში

სამართალდამცველების თქმით, აშშ-ში, ოკლაჰომაში 12 წლის გოგონამ 9 წლის ძმა დანით მოკლა.

„ინციდენტი გვიან ღამით მოხდა. პოლიციის განყოფილებამ დაჭრის შესახებ შეტყობინება ადგილობრივი დროით 23:43 საათზე მიიღო“, – ნათქვამია ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებაში. მედიასაშუალების ცნობით, მშობლებს ეძინათ, როდესაც 12 წლის ქალიშვილმა ისინი გააღვიძა და უთხრა, რომ სავარაუდოდ ძმა დაჭრა.

9 წლის ბავშვი სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს, მაგრამ ის მიყენებული ჭრილობისგან გარდაიცვალა. პოლიციამ განაცხადა, რომ 12 წლის გოგონა დააკავეს და ამჟამად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ცენტრში იმყოფება. დაჭრის მოტივი ამ დროისთვის უცნობია. გამოძიებას პოლიციის ბავშვთა განყოფილება აწარმოებს.

აღადგენენ დედამიწის ოზონის შრეს

დედამიწის ოზონის შრის სრულ აღდგენას 4 ათწლეული დასჭირდება. ასეთ დასკვნამდე გაეროს ექსპერტთა ჯგუფი მივიდა. ანგარიშში, რომელიც 4 წელიწადში ერთხელ ქვეყნდება, აღნიშნულია, რომ მიმოქცევიდან ოზონის შრის დამაზიანებელი ქიმიკატების თითქმის 99%-ის ეტაპობრივმა გაყვანამ ოზონის შრის შენარჩუნების საშუალება მოგვცა. შედეგად, ადამიანზე მავნე ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედება შემცირდა. მოქმედი პოლიტიკის შენარჩუნების პირობებში, ოზონის შრე 1980 წლის მაჩვენებელს ანტარქტიკის თავზე 2066 წლისთვის, არქტიკის თავზე 2045 წლამდე, მსოფლიოს დანარჩენ რეგიონებში კი 2040 წლამდე დაუბრუნდება.



„ის, რომ ოზონის შრე აღდგენის გზაზეა, ნამდვილად ფანტასტიკური ამბავია“, – განაცხადა გაეროს გარემოს პროგრამის აღმასრულებელმა მდივანმა მეგ სეკიმ. ოზონის შრე დედამიწის ატმოსფეროს ნაწილია, რომელიც ბუნებრივ ეკრანს წარმოადგენს და პლანეტას და მთელ ბიოსფეროს მზის ულტრაიისფერი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან იცავს. პირველი ხვრელი შრეში მეცნიერებმა 1985 წელს აღმოაჩინეს. მისი დიამეტრი 1000 კილომეტრს აღემატებოდა. ხვრელის წარმოქმნის ძირითად მიზეზად სპეციალისტებმა ფრეონის შემცველი ნივთიერებების მასობრივი გამოყენება მიიჩნიეს. ამიტომ 1987 წელს 46 სახელმწიფომ „მონრეალის პროტოკოლს“ მოაწერა ხელი, რომელიც მავნე ქიმიკატების გამოყენების აღმოფხვრას ითვალისწინებდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟავჟავაძის გამზირი №17ი

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „ კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
 კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ხვალ, 12 იანვარს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6990; ევრო - 2.8809;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2728;
100 რუბლი - 3.8513; თურქული ლირა - 0.1437;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5906;
1000 სომხური დრამი - 6.8359

ამინდი 11 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	-6,	დღე +3
მთიანი რაიონები -	ღამე	-10,	დღე +1
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	-2,	დღე +9
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე +4
თბილისი:	ღამე	-2,	დღე +2

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge